



ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

19 მაისი
სუთხაბათი
2022 წელი
№20 (9230)
ცანა 40 თეთრი

ლეგენდარული კობა წაქაძე 88 წლისაა, გულმოდგინებით!



ბესიკ ამირანაშვილი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
რწმუნებული – გუბერნატორი

სამცხე-ჯავახეთის საამაყო სპორტსმენს, ლეგენდარულ ტრამპლინიდან მსტომელ **კობა წაქაძეს** ვულოცავ 88 წლის იუბილეს! ჩვენთვის ნამდვილად საამაყო უამრავი მიღწევა და დამსახურება, რასაც თქვენს უნიკალურ სპორტულ კარიერაში მიაღწიეთ. თქვენი წარმატებული

გზა საქართველოსთვის დიდი გამარჯვებაა.

მთელი გულით ვულოცავ იუბილეს და ვუსურვებ დღეგრძელობას, ჯანმრთელობასა და უფლის მფარველობას.

ანტონ ობოლაშვილი

სამცხე-ჯავახეთის მაჟორიტარი დეპუტატი

სახელოვან ქართველ სპორტსმენს, ტრამპლინიდან ხტომაში ოთხი ოლიმპიადის მონაწილეს, დამსახურებულ სპორტსმენს, კარიერის განმავლობაში 54 შეჯიბრების გამარჯვებულს, ნაკრების ლიდერს და სამაგალითო პიროვნებას, ბატონ **კობა წაქაძეს** ვულოცავ იუბილეს!

ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და მხნეობას, მრავალი ახალგაზრდისათვის ყოფილიყოს მისი წარმატება სამაგალითო!



ოთარ არბოლიშვილი

პროკურორის მონიტორინგის მენეჯერი



ლეგენდარულ ბაკურიანელ ვეტერან სპორტსმენს, ტრამპლინიდან მსტომელ **კობა წაქაძეს** ვულოცავ 88 წლის იუბილეს! ვისურვებ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

მისი წვლილი განუზომელია, მან არაერთ წარმატებას მიაღწია სპორტული კარიერის მანძილზე და საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

ლავით გალიშვილი

პროკურორის მონიტორინგის
საკრებულოს თავმჯდომარე

ვულოცავ ბატონ **კობა წაქაძეს** 88 წლის იუბილეს! ვუსურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

კობა წაქაძე ტრამპლინიდან ხტომაში უდიდეს წარმატებას მიაღწია და გასული საუკუნის 50-60-იან წლებში საყოველთაო აღიარება მოიპოვა. კარიერის მანძილზე მან 54 შეჯიბრებაში გაიმარჯვა, მათ შორის მრავალჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

კობა წაქაძე არის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი და ერთდერთი ქართველი, რომელმაც ზამთრის ოთხ ოლიმპიადაზე იასპარეზა.

ჩვენი მეგობრობა დაუცინყარია

ლეგენდარულ „მფრინავ ტორპედოს“ - კობა წაქაძეს დაბადებიდან 88 წლის მესულადა, ჩვენ დღესაც კარგად გვახსოვს ახალგაზრდა, მკვირცხლი, დაუდევარი, დაუღლე-ლი და უშიშარი ტრამპლინიდან თხილამურებით მსტომელი - კობა. ჩვენი ბავშვობისა და ახალგაზრდული წლების დიდი მეგობარი, თავაზიანი, სამშობლოსა და მშობლიური ბაკურიანის სახელის მსოფლიოს კიდით-კიდემდე გამტანი და ერთგული გულმემატკივარი. ბატონმა კობამ ღირსეული წვლილი შეიტანა საქარ-


თველოში ზამთრის სპორტის განვითარების საქმეში. მისი სპორტული მიღწევები ქვეყნის ისტორიაში ოქროს ასოებითაა ჩანერილი. გულწრფელად ვულოცავთ დაბადების 88 წლის-თავს, დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ვუსურვებთ საუკუნეს მიტანებულ კობა წაქაძეს, რომელიც გვეიმედება და ალგავფრთოვანებს, სიცოცხლეს გვიადვილებს და გვეამაყება.

ელგუჯა ორჯონიძე,
ზაურ შირვალიაშვილი,
პროკურორის საპატიო
მოქალაქეები.

მილოცვა უმცროსი მეგობრებისათვის

ჩვენს საამაყო უფროს მეგობარს, ბატონ კობა წაქაძეს გულწრფელად ვულოცავთ დაბადების 88 წლისთავს. კობამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში და კერძოდ, ბაკურიანში ზამთრის სპორტის განვითარების საქმეში. დაუფინყარია მისი წარმატებები, მან ოქროს ასოებით შეავსო ქართული სპორტის ისტორია

კობას უმცროსი მეგობრები
ჯუზუა კურტანიძე, ნოდარ ნოზაძე, ვალერიან ლომიძე



ეკატერინე ორჯონიძე

ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ლიკაქტორი

მთელი გულით ვულოცავ ჩემთვის ძალიან ძვირფას, ღირსეულ, საამაყო ადამიანსა და სპორტსმენს, **კობა წაქაძეს**, დაბადების დღეს. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი მასთან და მის ოჯახთან სიახლოვეში მაქვს გატარებული და ვთვლი, რომ დამსახურებულად ატარებს მსოფლიო ლეგენდის ტიტულს.

განუზომლად დიდია ბატონი კობას წვლილი ქართული სპორტის, ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის პოპულარიზაციაში.

პირველ რიგში, მსურს უღრმესი მადლობა გადავუხადო მას იმ სიხარულისთვის, რაც ჩვენს ქვეყანასა და ხალხს არა ერთხელ მიანიჭა და ვუსურვო ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, ბედნიერ დღეთა სიმრავლე, რომლის მინიჭება გარკვეულწილად ჩვენი ვალდებულებაა, თუკი მადლიერების უნარი გაგვაჩნია.



სტატისტიკის მოყვარულთათვის

2007 წელს მის სპორტულ მეტოქეს გერმანელ რეკნაგელს დაბადების 70 წელი შეუსრულდა. სახელოვან სპორტსმენს მთელმა გერმანიამ გადაუხადა იუბილე. საპატიო სტუმრებს შორის კობაც იყო მინწვეული. ყველა მუზეუმში წაიყვანეს და მის გაცემას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სპეციალური სტენდი კობას საპატივსაცემოდ იყო მოწყობილი.

- სიხარულით ვას ვენი, თავი ვერ შევიკავე და ვიტყვი. პატარა საქმე ხომ არაა გენაცვალე, ჩემი დიდ სპორტში გამოსვლიდან 34 წელი იყო გასული და ხალხს კიდევ ვახსოვდი და ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი სიამაყე, - ამბობს ღვანლმოსილი სპორტსმენი.

XXX

სტატისტიკის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ კობა თავისი სპორტული კარიერის მანძილზე ექვსჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი;

სამჯერ მოიპოვა სსრ კავშირის თასი; ოთხჯერ მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებში;

ექვსჯერ იასპარეზა მსოფლიო ჩემპიონატში;

სულ უცხოეთში 327 ტურნირში მონაწილეობდა, აქედან 54 ტურნირში გაიმარჯვა;

ყველაზე შორი ნახტომი ობესდორფის ტრამპლინზე შეასრულა - 167 მეტრზე გადახტა, ეს შედეგი მხოლოდ 9 წლის შემდეგ გააუმჯობესეს.

XXX

კობა წაქაძეს მინიჭებული აქვს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება;

დასახელებულია საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო მსტომელად;

დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის და ღირსების ორდენებით;

არჩეულია ბორჯომის, კიროვსკის და კორკის საპატიო მოქალაქეებად, მისი სახელი მინიჭებული აქვს ბაკურიანის ყველაზე გრძელ, წრიულ ქუჩას;

და კიდევ ერთი მსოფლიოს 100 საუკეთესო ტრამპლინიდან მსტომელთა შორის ის 30-ა.

კობა წაქაძის სპორტში მიღწეულმა დიდმა წარმატებებმა და დამსახურებულმა ავტორიტეტმა ნამდვილად შეუნყო ხელი საქართველოში სამთო-სათხილამურო სპორტის აღმავლობას. სწორედაც მისი მცდელობით აშენდა ბაკურიანის ცენტრში 90,70 და 40 მეტრიანი ტრამპლინები, სადაც ყოველწლიურად საერთაშორისო დონის ტურნირები იმართებოდა, სხვა სიკეთეც ბევრი გააკეთა ბაკურიანში.



კობა ნაქაძე 88 წლისა

„კობეცა გორადან“ აფრენილი არწივი

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბატონი კობას საოუბლო მრავალრიცხოვანი შეხვედრები ყოველთვის დიდი ზეიმი იყო ბორჯომის საზოგადოებისათვის. გენამს, 19 მაისს ბაკურიანში დაგეგმილი შეხვედრა 88 წლის კობა ნაქაძესთან, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი გახლდათ ბაკურიანის განვითარების სააგენტოს (დირექტორი ქალბატონი ეკა მრავალხატიანი) ახლადშექმნილი კოლექტივი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს „თეთრი მარგალიტის“ - ბაკურიანის შემდგომი განვითარების გზაზე.

დიდხანია ვაპირებდი ნარკვევის დაწერას ლეგენდარულ კობა ნაქაძეზე, ადამიანზე, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ქართული სპორტის, კერძოდ, სამთო-სათხილამურო სპორტის, ისეთი ვაჟკაცური სახეობის განვითარებაში, როგორცაა თხილამურებით ტრამპლინიდან სტომბა.

სულ ვფიქრობდი, ვაითუ ისეთი წერილი არ გამოვიდებოდა, რასაც ჩემი დიდი ხნის უფროსი მეგობარი იმსახურებს-მეთუ. ბოლოს გავხედე და მკითხველის სამსჯავროზე გამოვიტანე ქართულ სპორტში დამაშვრალი ადამიანის განვლილი ცხოვრების ისტორია. მწამს, ახალგაზრდებისათვის ნამდვილად არ იქნება ურიტო კობა ნაქაძის ბიოგრაფიის და სპორტული მიღწევების გაცნობა.

ყოფილხართ ბატონი კობას სახლში, რომელიც მუზეუმი ფუნქციასაც ასრულებს? თუ არ ყოფილხართ, ბევრი რამ დაგიკარგავთ. პირადად მე არაერთხელ ვყოფილვარ მის მუზეუმში, სადაც წლების მანძილზე დიდ სპორტში ასპარეზობისას მის მიერ მოპოვებული ჯილდოები გამოფენილი. 200 კვადრატულ მეტრის უშველელ დარბაზში, იატაკიდან ჭერამდე, კედლებზე ლამაზად მოწყობილ თაროებზე ჩამკრეფებულია უშელავათო სპორტულ ბრძოლებში მოპოვებული თასები, მედლები, სამახსოვრო პრიზები, ვიმპლები, თხილამურები, მის შესახებ სხვადასხვა ენაზე გამოცემული წიგნები, გაზეთები და რა ვიცი, რას არ ნახავთ ამ მუზეუმში.

— ადგილი საკმარისი არაა, ბევრი ჯილდო და პრიზი ჩემოდნებში და ყუთებშია ჩანსობილი, ნაწილი კი მინისძერის დროს დაიმსხვრა, — ჩვეული თავმდაბლობით მითხრა კობამ.

ბატონ კობას დაბადებიდან 88 წელი შეუსრულდა. ასაკს არ ემორჩილება სპორტულ ბრძოლებში გამობრძმედილი ვაჟკაცი, ახლაც ახალგაზრდული ენერჯითა აღსავსე.

შეხვედრისას მოგეფერება, ოჯახის ამბებს გამოგიტყავს, გულიანად დაგლოცავს და... მოგიყვება თავს გადახმადარი სპორტული პერიპეტეების ისტორიას. თავისებური ხიბლი აქვს მის საუბარს. სულ „გენაცვალეს“, „შენი ჭირიმეს“ და „სიყვარულს“ აფრქვევს. ერთ რამედ ღირს მის მიერ განვლილი ცხოვრების ისტორიის მოსმენა...

ბავშვობაში ოჯახს უჭირდა და ცხვარ-ძროხას მწყემსავდა. მამა გააკულაკეს, მერე დაიჭირეს, გადაასახლეს, 36 წლისა გარდაიცვალა. ობლობაში გაიზარდა. დედას ედგა მხარში და ეხმარებოდა. შრომა არ ეზარებოდა და მამის აღერს მოკლებული, დედის, ბიძის და ახლო ნათესავების დახმარებით იზრდებოდა. 6-7 წლის ყმანვილი თავის ტოლ ამხანაგებთან ერთად დასდევდა შეკრებაზე ჩამოსულ სპორტსმენებს, სამხედროებს, აკვირდებოდა მათ ვარჯიშებს, იმხანად ისინი ძველ ტრამპლინზე ვარჯიშობდნენ... გამოცდილი სპორტსმენებისგან ბევრს სწავლობდა. მისი პირველი მწვრთნელი და მასწავლებელი არამ ადამიანიც 5-10 მეტრიან ტრამპლინზე სხებ-



თან ერთად ახტუნებდა.

ბიძამისმა, სოგრატ კოხანაშვილმა პირველად დააყენა თხილამურებზე. ის თხილამურები ყავარის ან ლობის ფიცარის უფრო ჰგავდა, ნვერი ჰქონდა კარგად გათლილი. თანატოლებს შორის 4 წლის კობამ 400 მეტრიანი ტრასა პირველმა გადაკვეთა და ჯილდოდ... მოკოლადის ორი ფილა მისცეს.

— გენაცვალე, რომ ნამოვიზარდე, მოკოლადი მერე კი შექონდა, მაგრამ ბავშვობაში „კობტონი“ და მახრჩობლა პანტაც ბევრი მიჭამია, — ეს უკვე მძიმე ბავშვობის გახსენებაა.

...პირველ ოფიციალურ შეჯიბრებამდე კობა გულმოდგინედ ვარჯიშობდა და 17 წლის ახალგაზრდა რუსეთში სოფლის ახალგაზრდობის ჩემპიონატზე წაიყვანეს სასპარეზოდ. 47 მეტრზე გადახტა, ჩემპიონი გახდა და ტრამპლინის რეკორდიც დაამყარა. კობა სოფლის

სპორტსმენთა საკავშირო ნაკრებში ჩარიცხეს. ორი წლის შემდეგ მოსკოვის საერთაშორისო შეჯიბრებაზე მეოთხე ადგილი დაისაკუთრა და საბჭოთა მსტომლებს შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა.

19 წლის კობა საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩარიცხა და მას შემდეგ 21 წელი ნაკრების უცვლელი წევრი იყო. სწორედ კობა იყო საბჭოთა კავშირიდან უცხოეთში გასული პირველი სპორტული ბრენდი, რომელსაც ამერიკელები ერთ მილიონ დოლარს სთავაზობდნენ, იმ დროს, როცა პელები 800 ათას დოლარად იყო შეფასებული.

კობამ ფულზე არ გაყიდა სამშობლო, მშობლიური ბაკურიანი, არ წავიდა უცხოეთში, მისთვის იოლი არ იყო სამშობლოს მიტოვება. აქ, ბაკურიანში ეგულებოდა დედა, ძმა, ნათესავები.



ბატონი კობა, საოცარი ნიჭის გამო, საბჭოთა სისტემამ თითქმის უპრეცედენტო უფლებებით აღჭურვა.

— 1953 წლიდან საბჭოთა კავშირის სპორტის კომიტეტის ხარჯებით ვცხოვრობდი და ვმუშავებდი, — სიამაყით მეუბნება კობა და კვლავ აგრძელებს საუბარს სპორტული ცხოვრების შესახებ. უფრო მეტიც, როცა „დიდი კობა ნაქაძე“ გახდა, მისთვის სპეციალურ ბიუჯეტს ადგენდნენ. მთელი თავისი სპორტული კარიერის მანძილზე უცხოეთში უწევდა მოგზაურობა, იმდენდ პოპულარული იყო ავტოგრაფის ნაცვლად ათასობით დაბეჭდილ თავის სურათს ურიგებდა გულშემატკივრებს.

შეჯიბრებებიდან მხოლოდ გამარჯვების აღსანიშნავად მოპოვებული მედლებისა და თასების ნამოლების უფლებას აძლევდნენ, ხოლო საპრიზო თანხა საელჩოების მეშვეობით საბჭოთა ბიუჯეტში ირიცხებოდა.

საზღვარგარეთ პრიზად სამი მანქანა მოიგო, არც ერთი არ მისცეს. იმ დროს ეს საქციელი საბჭოთა სპორტსმენისათვის შეუფერებელი იყო.

კობა ნაქაძეს წლების მანძილზე სახელმწიფოს ხარჯზე დაჯავშნილი ჰქონდა მოსკოვში სასტუმრო „მეტროპოლის“ ნომერი, მაგრამ იგი სულ ბაკურიანისაკენ იწვედა, ზამთრისათვის ხან თივის მოთიბვას იმიზეზებდა, ხან შეშის და სასწრაფოდ ოსლოში წაიყვანეს სასპარეზოდ. პირველი ნახტომით ყველას აჯობა, მერე თოვლი ნამოვიდა და... მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა.

სამშენაობად, კობა ვერც ჩეხოსლოვაკიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე და ვერც საპრიზო 1972 წლის ოლიმპიადაზე ვერ გახდა ჩემპიონი, თუმცა მსოფლიოს საუკეთესო მსტომელთა ათეულში მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი.

მკითხველს კი შევასხენებთ, კობამ უკანასკნელად 40 წლის ასაკში მიიღო მონაწილეობა შეჯიბრებაში, 1974 წელს ქალაქ კიროვსკი... და გულშემატკივართა აღიარებული კერძი საბოლოოდ გამოემშვიდობა დიდ სპორტს. რას იზამ, ასაკს თავისი კანონები აქვს. ფაქტია, კობას ქრონიკულმა ტრავმებმა და უიღბლობამ ხელი შეუშალა კიდევ უფრო უკეთესი შედეგების მოპოვებაში, მაგრამ, რასაც მიაღწია, ისიც დიდი გამარჯვებაა.

უცხოური პრესა ყველაზე მეტ საქებად სი-ტყვევს კობას უძღვნიდა. სპეციალისტებს და ყურნალისტებს კობას ლამაზი ნახტომები აოცებდათ. ისიც აღსანიშნავია, რომ უცხოეთის სამთო-სათხილამურო სკოლებში მოზარდებს სპეციალურ გაკვეთილებს უტარებდნენ, რომელსაც „ნაქაძის სტრინის სტილი“ ეწოდებ-



რა — 73 მეტრზე იფრინა, კობას ეკუთვნის ინსტრუქტორის ტრამპლინის რეკორდი — 79,5 მეტრი. განსაკვივრებელი სიღამაზის ნახტომის გამო, ბევრი სპეციალისტი გააოგნა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ინსტრუქტორი მერმა სპეციალური პრიზი — ვერცხლის თასი გადასცა.

1956 წელს კობა მთელმა საქართველომ გაცელა იტალიაში ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისათვის. კორტინა დამპყვეობილი დეიუტი ნამდვილად წარმატებული იყო, კობა ყველაზე შორს — 82,5 მეტრზე გადახტა, მაგრამ დაეცა, მეორე ნახტომი ერთი მეტრი გაუმჯობესა, მაგრამ უიღბლობამ აქაც თავისი სიტყვა თქვა. კობა მეორეაღმდეგ ადგილზე გავიდა. ჩემპიონი ფინელი გახდა (81 და 82). საბჭოთა ნაკრებში კობა საუკეთესო იყო. იმავე წელს კობა ქ. კიროვსკიში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა და ქალაქის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

მომდევნო წელს კობამ ზედხედ რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრი მოიგო ფინეთში, ნორვეგიაში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, კანადაში. საკავშირო ჩემპიონატში იმ წელს მეორე იყო.

1960 წელს უძლიერესი მს-

ტომელები ამერიკის ქალაქ სკოვ ელში შეიკრიბნენ ოლიმპიურ თამაშებზე. კობასგან აქაც ოქროს მედალს ელოდნენ (მანამდე კობა ქ. ტომსკიში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა და ძირითადი კონკურენტები კამენსკი და შამოვი დიდი უპრეტესობით დაამარცხა), მაგრამ კობას ფორტუნამ აქაც უმტყუნა და მხოლოდ მეექვსე-მეშვიდე ადგილზე აღმოჩნდა.

ბატონი კობა შეუდარებელი იყო 1968 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც, მაგრამ უიღბლობამ აქაც იჩინა თავი. ფინეთის ქალაქ ლახტიში კობა ყველაზე შორს გადახტა (78,5 და 74,5 მ), მაგრამ წონასწორობა დაკარგა, დაეცა და მხოლოდ მეშვიდე ადგილზე გავიდა.

ფინეთის შემდეგ კობამ გაიმარჯვა ნორვეგიის, ჩეხოსლოვაკიის და შვეციის ტურნირებში. მომდევნო წელს კობამ 15 საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და თითქმის ნახევარში ბრწყინვალედ გაიმარჯვა.

1962 წელს პოლონეთის ქალაქ ზაკოპანეში მსოფლიო ჩემპიონატზე მეოთხე ადგილს დასჯერდა, თუმცა აქაც ჩემპიონზე ბევრად შორს გადახტა.

1964 წელს ზამთრის ოლიმპიური თამაშები ავსტრიის ქალაქ ინსბრუკში გაიმართა. აქ კობა ნამდვილად გადალლილი იყო და შესაბამისად, მე-17-მე-18 ადგილს დაისაკუთრა. სამაგიეროდ, 1965 წელს 20-მდე ტურნირში გაიმარჯვა. 1966 წელს კობა სსრ კავშირის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა, თუმცა ოსლოს მსოფლიო ჩემპიონატზე მაინც არ წაიყვანეს. კობა ბაკურიანში დაბრუნდა... მალე ბაკურიანში ჩამოაკითხეს და სასწრაფოდ ოსლოში წაიყვანეს სასპარეზოდ. პირველი ნახტომით ყველას აჯობა, მერე თოვლი ნამოვიდა და... მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა.

სამშენაობად, კობა ვერც ჩეხოსლოვაკიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე და ვერც საპრიზო 1972 წლის ოლიმპიადაზე ვერ გახდა ჩემპიონი, თუმცა მსოფლიოს საუკეთესო მსტომელთა ათეულში მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი.

მკითხველს კი შევასხენებთ, კობამ უკანასკნელად 40 წლის ასაკში მიიღო მონაწილეობა შეჯიბრებაში, 1974 წელს ქალაქ კიროვსკი... და გულშემატკივართა აღიარებული კერძი საბოლოოდ გამოემშვიდობა დიდ სპორტს. რას იზამ, ასაკს თავისი კანონები აქვს.

ფაქტია, კობას ქრონიკულმა ტრავმებმა და უიღბლობამ ხელი შეუშალა კიდევ უფრო უკეთესი შედეგების მოპოვებაში, მაგრამ, რასაც მიაღწია, ისიც დიდი გამარჯვებაა.

უცხოური პრესა ყველაზე მეტ საქებად სიტყვევს კობას უძღვნიდა. სპეციალისტებს და ყურნალისტებს კობას ლამაზი ნახტომები აოცებდათ. ისიც აღსანიშნავია, რომ უცხოეთის სამთო-სათხილამურო სკოლებში მოზარდებს სპეციალურ გაკვეთილებს უტარებდნენ, რომელსაც „ნაქაძის სტრინის სტილი“ ეწოდებ-

ბოდა. ბავშვებს პატარაობიდან აჩვენებდნენ ნაქაძის არაორდინალური ხტომის სტილის დაუფლებას და პრაქტიკაში ნერგავდნენ მის გამოცდილებას.

კობა დამარცხების შემთხვევაშიც ძალიან ხალისიანი და ლაღი იყო, ამიტომ მეტოქეებს ძალიან უყვარდათ.

ბატონმა კობამ თავისი ნიჭიერებით, დაუღალავი ვარჯიშით და, რაც მთავარია, თავისი კეთილშობილებით მოიპოვა მეგობრების, მეტოქეების, ახლობლების სიყვარული და პატივისცემა.

— გენაცვალე, თუ ცუდად გადმოხტებოდი, სხვას ხომ ვერ დავაბრალებდი, მოგებაც ჩემი დამსახურება იყო და დამარცხებაც. გამარჯვებულს გულით ვულოცავდი, ეს სპორტსმენის წესია. ჩემი წილი მედელი სხვას არავის წაუღია, ყველას თავისი მიჰქონდა, — სიამაყით მეუბნება ჩემი რესპონდენტი.

კობა ღირსეულად წავიდა დიდი სპორტიდან. 40 წლის ასაკში საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა და თასიც მოიგო. იშვიათია ჩვენში დიდი სპორტიდან წასული 40 წლის ასაკის ჩემპიონი.

კობა ნაქაძის სპორტში მიღწეულმა დიდმა წარმატებებმა და დამსახურებულმა ავტორიტეტმა ნამდვილად შეუწყო ხელი საქართველოში სამთო-სათხილამურო სპორტის აღმავლობას. სწორედაც მისი მცდელობით ამენდა ბაკურიანის ცენტრში ტრამპლინების კომპლექსი, სადაც ყოველწლიურად საერთაშორისო დონის ტურნირები იმართებოდა, სხვა სიკეთეც ბევრი გააკეთა ბაკურიანში.

ერთხანს საბჭოთა კავშირის მოთხილამურეთა ნაკრების მწვრთნელიც იყო. წლების მანძილზე კობა ზრდიდა და ავარჯიშებდა ბაკურიანელ ახალგაზრდებს, ამაზღებდა მათ დიდი სპორტისათვის. არაერთი შესანიშნავი ტრამპლინიდან მსტომელი აღზარდა. პატარებს თავის ხელით უკეთებდა სახტომ ბოგურებს, უმხადებდა დასაშვებ ტრასებს.

კობა საერთაშორისო დონის კომისარიც იყო და არაერთხელ უმსაჯვია დიდი შეჯიბრებებისათვის. ამ რამდენიმე წლის წინათ გერმანიაში იყო მიპატიჟებული, შეხვდა თავის ძველ მეგობრებს, დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა, წიგნები ჩამოიტანა, რომლებშიც ვეტერანი მსტომელები კობას დიდების მარავანდებით ამკობენ.

კობას შეეძლო ბაკურიანიდან შორს — თბილისში, მოსკოვში, სანქტ-პეტერბურგში, გორკში, კიროვსკიში ეცხოვრა, ბინა, სამსახური, პატივისცემა გარანტირებული ექნებოდა. საზღვარგარეთ ნასულიყო, სადაც უზრუნველად იცხოვრებდა. არ წავიდა, მშობლიურ ბაკურიანს ვერ მოცილდა. რომ ნასულიყო, ბაკურიანში სპორტული ცხოვრების ის პატარა ნაპერწკალიც ჩაქრებოდა, რომელიც დღეს თანდათან ძლიერდება.

— მე რაც შემიძლია, გენაცვალე, ყველაფერი გააკეთე ჩემი ქვეყნისათვის. ნამდვილად მერამყავს ის, რომ საქართველოდან საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონი მე ვიყავი ტრამპლინიდან ხტომაში, ბოლო ჩემპიონი — ჩემი შვილი, კახა ნაქაძე გახდა.

ეს მართლაც საამაყოა. კახას მამასავეთ საბჭოთა კავშირის პირველობებზე თავი ნამდვილად არ შეურცხვენია, ბევრი ტურნირი მოიგო. საკუთარი ხარჯებით დადიოდა შეჯიბრებებზე და ოლიმპიურ ლიცენზიებს იგებდა, სამ ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა და მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში ცხოვრობდა, საქართველოს სახელით გამოდიოდა, თუმცა არავითარი დახმარება მისთვის არ აღმოუჩენიათ.

უმადურებოდა იქნება კობას დიდებულ ოჯახზე არ ვათქვათ ორიოდ სიტყვა. კობას შესანიშნავი მეუღლე, მერი წლების მანძილზე ბაკურიანის საბავშვო ბაღს ხელმძღვანელობდა. იმ ბაღის არსებობაც კობას დიდი დამსახურების შედეგია.

ორი ვაჟი და ორი ქალიშვილი ჰყავს, ყველა დაბინავებული და დაოჯახებულია. შვიდი შვილიშვილი და შვიდივე ვაჟკაცი ეზრდება, ჯერჯერობით ერთი შვილთაშვილი ჰყავს.

ბატონი კობა იუბილარია, 88 წლის გახდა. მწამს, მის საოუბლო თარიღს რაიონის საზოგადოებრიობა ღირსეულად აღნიშნავს. კობა ნამდვილად იმსახურებს პატივისცემას და დაფასებას, თუმცა ხალხის სიყვარული და დაფასება არასოდეს აკლდა.

ბატონ კობას სოლიდური ასაკის მიუხედავად, ახალგაზრდული ენერჯია ნამდვილად არ აკლია, აქვს მეტად საინტერესო წინადადებები ბაკურიანში ზამთრის სპორტის განვითარების თვალსაზრისით.

ახლა, როცა ბაკურიანი მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადება, მიმანჩია, და აუცილებელია, სპორტულ დამაბში სხვა სიკეთეებთან ერთად გაიხსნას ზამთრის სპორტის მუზეუმი, სადაც გამოიფინება ბატონ კობას და ბაკურიანელ სპორტსმენთა ჯილდოები, რაც თვალნათელი დასტურია იქნება, თუ როგორ წარმატებულს მიადნევს ზამთრის სპორტში საქართველოს სპორტსმენებს.

დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას ვუსურვებთ ბატონ კობას საყვარელ ოჯახთან, ერთგულ მეუღლესთან, შვილებთან და მრავალრიცხოვან შთამომავლობასთან ერთად.

ვალერიან ლომიძე.

მოგონებები გარდასული დღეთა...

„გაკულაკებული“ ოჯახის შვილი ვარ. მამაჩემი ვარდენი განათლებით ქიმიკოსი იყო და მეორე მსოფლიო ომში არ გაუშვეს, ემინოდან, გაიპარებო. ამიტომ გადასახლდა. 1942 წელს დაბრუნდა, მაგრამ უკვე ძალიან მიძიმედ იყო ავად ტუბერკულოზით. პირველი თხილამური სწორედ მამამ მიყიდა - დედაჩემის მოქსოვილი სვიტერი ბაზარში გაყიდა და... ორ დღეში გარდაიცვალა კიდეც.

XXX

...მეორე მსოფლიო ომის წლებში ჩვენას ბაკურიანში, ასევე ახალქალაქში, ახალციხეში, ნინოწმინდაში და სხვაგანაც სამხედრო ნაწილებში იდგა - საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას თურქეთიდან გერმანელების შემოჭრის ემინოდა და საზღვარს იცავდა. ჰოდა, ჩვენი, ბავშვების მთავარი გასართობი სწორედ სამხედროები იყვნენ - სადაც წავიდოდნენ, ყველგან დავეყვებოდით. ხანდახან თავლების დალაგებაში ვეხმარებოდით, ცხენებს ვუბანდით, სამაგიეროდ კი ისინი საქმელს გვადიდებდნენ - შერისა! დედა ამ შერისა რძეში დააღებდა და... ეს ჩვენი წინამდებელი დღეობა იყო! თავის მხრივ, ბებიაჩემი და დედაჩემი სამხედროებს პატივისცემას არ აკლებდნენ - ხან ხილს უგზავნიდნენ, ხან არაყს.



...ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ვიქნებოდი ასე 7-8 წლის. მამინ ბაკურიანში მხირად ისვენებდნენ ბერიას, კავანოვიჩის, მოლოტოვის და სხვა მაღალჩინოსნების მეუღლეები, ტყესთან პატარა სახლი იდგა და იქ ცხოვრობდნენ. სადილს რომ მორჩებოდნენ, სპეციალურად არ ყრიდნენ, იცოდნენ, რომ მე და ჩემი მეგობრები, პატარა ბაკურიანელი ბიჭები სადაც იქვე, ახლო-მახლო ვიყავით ჩაცუქტულები და ველოდებოდით, როდის წავიდოდნენ. მერე კი, როცა დაცვა გვანიშნებდა, გიჟებივით გავრბოდით საქმლის ნარჩენების ხელში ჩასაგდებად. მამინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ გავიღოდა დრო და ტოკიოში იმპერატორ ხიროხიტოს აპარტამენტებში მომიწვევდა ცხოვრება.

XXX

...ერთხელ სკოლიდან იმის გამო მრიცხავდნენ, რომ ზამთარში შენობის სახურავიდან გადმოვხტი. ქართულის მასწავლებელმა დამიცვა, რატომ რიცხავთ, ცოცხალი ბავშვია, სხვებივით კი არ ძინავს გაკვეთილებში!

XXX

...თბილისში პირველად ჩამოსული დიდ „მარში“ გავეხვიე: 5 ცალი ნაყინი ვიყიდე, 4 კი ჯიბეში ჩავიდე. სანამ ერთს ვჭამდი, დანარჩენი დადნა და მარვალი დამისვალა. ვიფიქრე, გამყიდველმა მომატყუა-მეთქი და მასთან საჩხუბრად მივბრუნდი... ამ ისტორიაზე შეიღებებს და შეილიშვილებს დღემდე გულთანად ეციხებათ.

XXX

1953 წლიდან დაწყებული, საქართველოში ფული აღარ დამხარჯავს - საბჭოთა კავშირის სპორტის კომიტეტის ხარჯით ვცხოვრობდი და ვმოგზაურობდი. მერე, როდესაც „დიდი“ კობა წაქაძე გავხდი, ჩემთვის სპეციალურ ბიუჯეტს ადგენდნენ-ხოლმე.



XXX

...1954 წელს პირველად მოხვდი იტალიაში. ტურნირის მერე მასპინძლებმა სადილად დაგვაპატიეს და სპაგეტი მოგვართვეს. აბა ბაკურიანში დაბადებულ-გაზრდილ ცხვირობი-ხოცავ ბიჭს საიდან უნდა მცოდნოდა რა იყო

ეს შენი სპაგეტი?! მამინ ჩვენთან ისეთი შავი და მავარი მაკრონები იყო, ვინმესთვის თავში რომ ჩაგერცხა, გაუტყავდი! მოკლედ, მოგვიტანეს სპაგეტი ხის ჯამებით და... ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ეს სპაგეტი სახეში სულ ტკაცა-ტკუცით მომხვდა! თურმე იქვე ფოტოგრაფებიც სადილობდნენ და მეორე დღეს რამდენიმე გაზეთში ჩემი ფოტო გამოქვეყნდა სპაგეტი პირში და არცთუ სასიამოვნო სა-თაური... რამდენიმე დღეში სენტ-მორიცში უნდა წავსულიყავით შეჯიბრებაზე, მაგრამ ნაკრების მწვრთნელებმა მითხრეს, შეფუთე ბარგი, მოსკოვში ბრუნდები. ვეხვეწე: ნუ იზამთ ამას, გენაცვალე, ნუ დამჩაგრავთ-მეთქი, მაგრამ არაფერმა გაჭრა! მოსკოვში ჩასული აეროპორტიდან პირდაპირ სასტუმრო „მეტროპოლი“ მიმიყვანეს. იქ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორი თანამშრომელი დამხვდა, სასტუმროს პერსონალი კი ელდა-ნაკრავით გავეგიმული იდგა - მათ ყველა მითითებას უსიტყვოდ ასრულებდნენ. ერთ-ერთ მაგიდასთან დამსვეს, ახლაც მახსოვს მისი ნომერი - 9. მაგიდაზე ყველაფერი გაკრია-ლეული იყნო: თევზები, ჩანგლები, დანები, კერძები... მოვიდა ვილაც კაცი, გამიღმა და მითხრა: - „აბა, გლეხუჭავ, საქმეს შეუდგეთ“ და დაიწყო: ეს კოვზი ამისთვისაა, ეს - თევზისთვის, ეს - ღესურებისთვის... მოკლედ, ორი დღე მასწავლიდნენ რა როგორ მეჭამა. მერეც, როცა ახალ ქვეყანაში მივდიოდი, მიმიყვანდნენ „მეტროპოლი“ და იგივე კაცი მასწავლიდა, როგორ მეჭამა ბაყაყი, ლოკოკინა და რა ვიცო, რა აღარ!

XXX

...მას შემდეგ, რაც სისტემატურად დავიწყე უცხოეთში სიარული, გერმანული ენის შესწავლა დავიწყე. დამიბარეს შესაბამის ორგანოებში და წინ დამიდეს ჩემს შესახებ მოგროვილი მასალები, ზოგად დახასიათებაში კი რუსულად ეწერა - უცხო ენებს სწავლობს“. თითქოს ეს ნაკლი იყო! რომ გავეცანი იმ მასალებს, ვკითხვე, რა გინდათ-მეთქი? დამიდეს სუფთა ფურცელი, კალამი და დამანერინეს: „მე, კობა ვარდენის ძე ნაქაძე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე, ტრამპლინიდან მხტომელითა ნაკრები გუნდის წევრი, რომელიც ხშირად ვმოგზაურობ უცხოეთში, პირობას ვდებ, რომ უცხოელი ჟურნალისტების კითხვებს თარჯიმნის გარეშე არასდროს ვუპასუებ“. ამ „ფიცს“ ხელიც მოვანერე!

XXX

...საპრიზო თანხა? ავსტრიაში, იტალიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში და ამერიკაში ხშირად მაჯილდოვებდნენ ფულით, მაგრამ მისი მიღების უფლება არ მქონდა. თანხა საკავშირო სპორტკომიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა და მის გარკვეულ ნაწილს მანეთებში მადლევდნენ. შეიძლება არ იცით, მაგრამ სხვადასხვა ტურნირზე 3-ჯერ მოვიგე ავტომობილი, თუმცა ერთიც არ ჩამომიყვანია - საბჭოთა მოქალაქეს კაპიტალისტური ქვეყნის ნაწარმი არ სჭირდებოდა! აი, ასეთი მიდგომა იყო მამინ...

XXX

...50-იანი წლების მიწურულს პირველად წავიდი ამერიკაში. იმის გათვალისწინებით, რომ მარტოს მიხედვით გამგზავრება, უშიშროებაში დამიბარეს და „აღმზრდელითი ლექცია“ წამიკითხეს. მახსოვს, რომელიღაც მაღალჩინოსანმა მთელი ჩემი საგვარეულოს სია გამაცნო და დასძინა: „უკან რომ დაბრუნდები, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ“. მხოლოდ ის ვითოვე, ეგ ფურცელი მეც მომეცია, ხომ უნდა ვიცოდე ამდენი ნათესავი რომ მიყავს-მეთქი.

XXX

...ერთხელ, მორიგი გამარჯვების შემდეგ, დამიძახეს იქ, „ზევით“ და მითხრეს: - ავტომობილი უნდა გადმოგცეთ და აირჩიე, რომელი გინდაო - ზიმი, გაზ-21 თუ „პაბედაო“. ვუთხარი, არც ერთი არ მიწდა გენაცვალე, „კოლხოზნიკი“ მომეცით-მეთქი. - ეგ მანქანა სამხედრო დანიშნულებისაა, არ იყიდება, მაგრამ მოვიფიქრებოთ“, - მითხრეს და ცოტა ხანში მართლაც მომიყვანეს ახალთახალი „კოლხოზნიკი“.

XXX

...ერთხელ მოსკოვში ვარ და საქართველოში გამომგზავრებას ველოდებოდი. აეროპორტში სამხედრო ხდებოდა: რიგი, ჩოჩქოლი, ზღვა ხალხი დგას მოსაცდელში! ამ დროს ჩამოიარა საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველმა მდივანმა ვასილ მუჟაანაძემ, თავის დაკვრით მომესალმა და გზა განაგრძო. ცოტა ხანში ჩემთან მისი თანმხლები პირები მოვიდნენ, თხილამურები და ბარგი ჩამომართვეს და თვითმფრინავისკენ გამიძღვნენ. თბილისში მყავანაძესთან ერთად ვიფრინე, აეროპორტში კი ვასილ პავლოვიჩის „ჩაიკა“ დამახვედრეს და

ბაკურიანში გამომაცილეს. დღემდე არ ვიცი, როგორ მივიდა სახლში ის კაი კაცი

...1961 წელს გერმანიაში, გარმიშ-პარტენკირხენში მსოფლიო თანის ეტაპი მოვიგე. ტურნირის შემდეგ მაცნობეს, აღენაურება პირადად მიგიპატივებო! ხომ გახსოვთ, კონრად ადენაუერი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ გერმანიის კანცლერი გახლდათ. მან მარტო მიმილო, სპეციალურად გამომიგზავნა მერსედესი, მე კი, სანამ მიღებაზე წავიდოდი, ახალთახალ კოსტუმში გამომანყვეს. მერე, მოსკოვში რომ დავებრუნდი, ერთი კვირა დაკითხვაზე დამატარებდნენ, გვითხარი, რაზე ისაუბრეთო. ისე, ის კოსტუმი კი მაჩუქეს.

XXX

...საუკეთესო წელი? როგორ გითხრათ, 1962 წელი ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო - მამინ მსოფლიო ჩემპიონატზე მეხუთე ადგილზე გავიდი, ბაკურიანში კი დიდი შეჯიბრება მოვიგე! ქართველი გულშემატკივრების წინაშე იშვიათად გამოვდიოდი და მამინ ჩვენ ტურნირს 20 ათასი გულშემატკივარი დაესწრო!

XXX

...ერთხელ პოლონეთში ვარ და ვილაც კაცი მომიახლოვდა, მომესალმა, ხელი ჩამომართვა და აღტაცებულმა მითხრა: - პან ნაქაძე, კრაკოვის უნივერსიტეტი ლექციებს ვაცდენდი ხოლმე იმისთვის, რომ თქვენი ნახტომები მენახაო! ვიფიქრე, გულშემატკივარია-მეთქი და მადლობა გადაუხადე, მაგრამ რომ გამშორდა, დღევანდის ხელმძღვანელმა მითხრა, ეგ კაცი პოლონეთის პრეზიდენტი ალექსანდერ კვანევესკიაო.

XXX


...საერთოდ, უამრავ პოლიტიკოსს შევხვედრივარ და ამ მხრივ ნამდვილად ბევრი მაქვს მოსაგონარი. რომელი ერთი ჩამოვთავალო? ნიკიტა ხრუშჩოვზე, ლეონიდ ბრეჟნევეზე და საქართველოს პირველ მდივნებზე რომ არაფერი ვიქვა, ნორვეგიის მეფესთან, ფინეთის პრეზიდენტთან, კანადის პრემიერ-მინისტრთან, იუგოსლავიის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და ჩეხოსლოვაკიის პირველ პირებთან, აშშ-ს პრეზიდენტთან მიღებაზე ვყოფილვარ... მათგან მიღებულ სუვენირებს შინ, ჩემსავე მუზეუმში ვინახავ.

XXX

...ჩვენ დროს სპორტის ეს სახეობა ძალიან სახიფათო იყო, არც სპორტსმენთა დაღუპვა იყო იშვიათი, თუმცა ასეთ ფაქტებს საბჭოთა კავშირში ასაიდუმლოებდნენ. ახლა მონაწილეთა უსაფრთხოება უმაღლეს დონეზეა

კობა - სოხხალი ლეგენდა

იშვიათად ხდება: ადამიანის სიცოცხლეშივე მიენიჭოს ამა თუ იმ ქალაქის ან დაბის ქუჩას ამ ადამიანის სახელი. ერთ-ერთი ბედნიერი გამონაკლისია ჩვენი კობა ნაქაძე. დიდი ხანია, ბაკურიანის ულაშაზესი წრიული ქუჩა მის სახელს და გვარს ატარებს. დაბის შესასვლელ ნაწილში ამ ქუჩის დასაწყისს გამოკვეთილი ასოებით ამშვენებს წარწერა: „კობა ნაქაძის ქუჩა“.



ამ ქუჩას რომ გაყვებოთ, პირველივე მოსახვევის გასწვრივ, 100-150 მეტრში, ტყის პირას დგას კობა ნაქაძის სახლი. სახლის პირველ სართულზე, ერთ-ერთ უზარმაზარ ოთახში მუზეუმიან მოწყობილი. ამ ორი ათეული წლის წინ მარტოდმარტო ვენეციე მუზეუმს. საბედნიეროდ, ლეგენდარული მასპინძელი შინ დამხვდა. შესვლისთანავე გამომცა ექსპონატების სიმრავლემ, კედლები ჭერამდე სავსე იყო თასებით, მედლებით, ფოტოსურათებით, სიგელებით...

თითოეულ ექსპონატზე მესაუბრება ბატონი კობა: აი, გენაცვალე, ეს თასი ფინეთის პრეზიდენტმა კეკონენმა მაჩუქა, ეს ბროლის ჭიქა - იუგოსლავიის პრეზიდენტმა ბროზ ტიტომ... აი, ეს სურათი ცადანველი ნაძების ფონზე თქვენმა ფოტოგრაფმა ნუგზარ ქარელმა გადამიღო, ძალიან მომწონს ეს სურათი...

ასე გამაცნო მთელი მუზეუმი, არ დაილა, სულ „გენაცვალე“-თი მელაპარაკა, თავისი თბილი ხმით, მთელი თავისი არსებით საოცარ კეთილშობილებას ასხივებდა...

მართლაც ცოცხალი ლეგენდა გყავს ჩვენი კობა.

21 წელი საბჭოთა კავშირის ნაკრებში ირიცხებოდა. კობა განსაკუთრებით უყვარდა ყველას, საბჭოელებსაც და უცხოელებსაც, რადგან იყო ძალიან თბილი, მეგობრული. როცა საბჭოთა კავშირი დაინგრა და კობას ძალზე გაუჭიდა, ფინანსურად სწორედ მათ გამოუწოდეს ხელი.

ასეთია ახლაც: რადგან სიკეთის გამცემი და ზნეობრივად უსპეტაკესი ადამიანია. იგი ქრისტესავით უბრალო და თავმდაბალია. არც ტანჯვა დაკლებია ქრისტესავით, - ამ საოცარი სპორტული შედეგების მიღწევას ტანჯვა-წვალებაც არ უნდოდა?!
მას დიდი წვლილი მიუძღვის ბაკურიანში ზამთრის სპორტის სახეობების განვითარებაში. თავისი ვაჟი - კახაც თავის კვალზე დააყენა. სიამაყით და თან დანანებით ამბობს: „საქართველოდან საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონი მე ვიყავი, კახა კი ბოლო ჩემპიონი იყო“. კახა ზამთრის ოლიმპიადების სამგზის მონაწილეა.

88 წელი მისთვის არაფერია!

დიდხანს იცოცხლოს ჩვენმა ბერმუხამ, ჩვენმა ცოცხალმა ლეგენდამ, კაცურ-კაცობის ეტალონმა და სინდის-ნამუშამ!

